სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 23

ქ. თბილისი

22 თებერვალი 2018 წ.

„მაგისტრანტთა სასწავლო - კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 15 იანვრის № 5 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მაგისტრანტთა სასწავლო - კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 15 იანვრის № 5 ბრძანებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართ 1-ით გათვალისწინებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 15 მარტისა“
2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6)

მანანა მიქაბერიძე